

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2019 წლის 24 აპრილი

ქ. ბაღდათი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი (წესი დანართის №1-ის სახით თან ერთვის).

მუხლი 2

დამტკიცდეს პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შალვა მშვილდამე

დანართი №1

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (შემდგომში „ამხანაგობა“) საერთო ქონების განვითარების ხელშეწყობისათვის, პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელია არსებობდეს ამ მიზნით გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და თანადაფინანსების წესი, რომლითაც ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო მეორე მხრივ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები კანონით დადგენილი წესით, შეთანხმდებიან ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სამუშაოების თანადაფინანსების პრინციპებზე.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვის უფლება აქვს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში აღრიცხვაზე მყოფ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.

მუხლი 2. ამხანაგობის მიერ მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ მერიაში აღრიცხვაზე დადგომისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების დაფუძნების ოქმის დედანი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა.ა) ამხანაგობის მისამართი;

ა.ბ) ამხანაგობის სახელი;



ა.გ) ამხანაგობის კრების გამართვის თარიღი, ადგილი, დრო;

ა.დ) ამხანაგობის კრების თავმჯდომარის სახელი და გვარი;

ა.ე) მრავალბინიან სახლში ბინათა საერთო რაოდენობა;

ა.ვ) ამხანაგობის კრებაზე დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა;

ა.ზ) დღის წესრიგი;

ა.თ) გადაწყვეტილების მიღების მომხრეთა საერთო რაოდენობა;

ა.ი) გადაწყვეტილების მიღების მოწინააღმდეგეთა საერთო რაოდენობა;

ა.კ) გადაწყვეტილება;

ა.ლ) ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა;

ა.მ) ამხანაგობის კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე;

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნოტარიულად დამოწმებული წესდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) სრული სია სახელის, გვარის, ბინისა და ტელეფონის ნომრების მითითებით;

დ) „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღები ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით;

ე) წევრთა შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ამხანაგობის წევრთა სია, სახელის, გვარის, ბინისა და ტელეფონის ნომრების მითითებით;

ვ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლის შემთხვევაში, ამხანაგობის საერთო კრების ნოტარიულად დამოწმებული ოქმის დედანი;

ზ) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში (ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვა და/ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა) არსებული მონაცემების ცვლილებას.

2. მერია, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის ან ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ, რომლის საფუძველზეც მერია გასცემს ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:

ა) აღრიცხვის ნომერს;

ბ) აღრიცხვის თარიღს;

გ) აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის თარიღს;

დ) ამხანაგობის დასახელებას;

ე) ამხანაგობის მისამართს.



3. ამხანაგობის აღრიცხვაზე და აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველზე წარმოადგენს:

ა) წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების მერიაში წარუდგენლობა ან წარმოდგენილ დოკუმენტებში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითება, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ამხანაგობის აღრიცხვას ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებას;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

მუხლი 3. ამხანაგობის აღრიცხვიდან მოხსნა

1. ამხანაგობა აღრიცხვიდან მოიხსნება:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას;

ბ) სასამართლოს მიერ ამხანაგობის იმ კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ამხანაგობის აღრიცხვა ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა;

გ) სხვა ამხანაგობასთან გაერთიანების შემთხვევაში;

დ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ამხანაგობის ხელშემწყობ პროგრამაში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია

1. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილ ამხანაგობის ხელშემწყობ პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ამხანაგობებმა განცხადება უნდა წარადგინონ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო მონაცემებს:

ა) ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ.

ბ) პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება;

გ) მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო შესყიდვების ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით (აუცილებლობის შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას უნდა ახლდეს შესაბამისი სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნა).

დ) ამხანაგობის თავმჯდომარის ან წევრთა ხელმოწერასა და ბეჭედს, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

მუხლი 5. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსება

1. ამხანაგობისათვის საჭირო მასალების შეძენას ან/და სამუშაოების განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოვლენილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჭირო მასალების შესყიდვის შემთხვევაში, ამხანაგობამ სამუშაოების შესრულება უნდა უზრუნველყოს, მერიისაგან მასალების ამხანაგობისთვის გადაცემის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, გამოუყენებელი მასალები ამოიღოს ამხანაგობიდან და დაასაწყობოს შენახვის წესების დაცვით, შემდგომი განკარგვის



მიზნით(ვრცელდება ამხანაგობებზე, რომლებსაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გადასცა სარემონტო მასალები).

3. ამხანაგობებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს განვითარების ხელშეწყობი პროგრამის ფარგლებში მონაწილეობის მიღებაზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, შეუძლიათ წარმოადგინონ საპროექტო ორგანიზაციის მიერ მომზადებული, შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (აუცილებლობის შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას უნდა ახლდეს შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნა).

4. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე დადგენილების №2 დანართის შესაბამისად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

მუხლი 6. ამხანაგობის თანადაფინანსებაში მონაწილეობა

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით აღრიცხავს და განიხილავს ამხანაგობის მიერ შემოტანილი განცხადების შესაბამისობას ამ წესით დადგენილ პირობებთან.

2. მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს წინადადებები, განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან/და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“

3. თანადაფინანსებაზე თანხმობის მიცემის შემდეგ, ამხანაგობა ვალდებულია მერიის მხრიდან მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაოების ან შესასყიდი მასალების ღირებულების სავალდებულო თანადაფინანსების პროცენტული წილის გადახდის საბანკო ქვითარი.

4. განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ:

ა) ჩასატარებელი სამუშაოების მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, მისი დაფინანსება მიზანშეუწონელია;

ბ) წარმოდგენილი პროექტი შედგენილია დარღვევით;

გ) განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების თანადაფინანსების პროექტი განხორციელებულია ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გარდა გარკვეული შემთხვევებისა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

დანართი №2

*ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 03.02.2020წ.
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.*

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	95/5	95	5
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების რეაბილიტაცია	95/5	95	5
	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების			



3	დაზიანებული წყალმომარაგება-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა	95/5	95	5
4	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პარაპეტებისა და წყალსაწრეთი მილების რეაბილიტაცია	95/5	95	5
5	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შიგა რემონტი და პანდუსების მოწყობა	95/5	95	5
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ლეთილმოწყობა	95/5	95	5

